ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი # **11**

12.09. 2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. სამაგისრტო პროგრამა: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, ახალი არჩევითი კურსი - "პოზიტიური ფსიქოლოგია: თანამშრომელთა ბედნიერება, ავტორი - ი. კუტალაძე; ანა ტიკარაძე;
2. სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია და კვლევა,ახალი არჩევითი კურსი -" პრაქტიკა, განათლების და მეცნიერების სამინისტროში", ავტორი - მ. წერეთელი;
3. საბაკალავრო პროგრამა: ფსიქოლოგია, არჩევითი კურსი -" სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია", ავტორი - მ.მელიქიშვილი, დაემატა ახალი ლიტერატურა;
4. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
5. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტება;
6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება (132 ადგილი)
7. განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე საუნივერსიტეტო (სხვა ფაკულტეტზე აუთვისებელი) რესურსიდან შესაბამისად, 26 და 9 ადგილის დამატების საკითხი
8.გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე 1 ადგილის დამატება
9. 1995 წლის კურსდამთავრებული მაია რუსიტაშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ნანა სუმბაძე, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე, ია კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები :

ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, შორენა მამუკაძე, ირინა გედევანიშვილი, ლია ჩხიკვიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორები :

იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე.

ასისტენტ პროფესორი: ზაქარია ქიტიაშვილი

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ფსიქოლოგიის მიმართულება :

სალომე თოფურია

მარიამ ტაბატაძე

ნანუკი ალიბეგაშვილი

ნიკოლოზ გოძიაშვილი

ნინო ცინაძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 24 წევრი.

განიხილეს:

1. სამაგისტრო პროგრამა: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, ახალი არჩევითი კურსი - "პოზიტიური ფსიქოლოგია: თანამშრომელთა ბედნიერება, ავტორი - ი. კუტალაძე; ანა ტიკარაძე;

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსი „პოზიტიური ფსიქოლოგია: თანამშრომელთა ბედნიერება", ავტორები ი. კუტალაძე; ანა ტიკარაძე და სთხოვა საბჭოს საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილების მხარდაჭერა.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია და კვლევა,ახალი არჩევითი კურსი -" პრაქტიკა, განათლების და მეცნიერების სამინისტროში", ავტორი - მ. წერეთელი;

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ „განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის" სამაგისტრო პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსი „პრაქტიკა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში", ავტორი მზია წერეთელი და სთხოვა საბჭოს სამაგისტრო პროგრამაში შესატანი ცვლილების მხარდაჭერა.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3. საბაკალავრო პროგრამა: ფსიქოლოგია, არჩევითი კურსი -" სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია", ავტორი - მ.მელიქიშვილი, დაემატა ახალი ლიტერატურა;

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევით კურსს - **სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია", ავტორი - მ.მელიქიშვილი** - დაემატა ახალი ლიტერატურა და სთხოვა საბჭოს წარმოდგენილი ცვლილების მხარდაჭერა.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4.კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მითითებით, დაშვებულია ხარვეზი და საჭიროებს შესწორებას. კერძოდ, კრედიტებისა და საათების გაანგარიშებისას კვლევით კომპონენტში დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება და დაცვა ნაცვლად 80 კრედიტისა უნდა იყოს 100 კრედიტი.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. სამაგისტრო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტება.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ სამაგისტრო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, უნდა იყოს კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი, ნაცვლად არსებული კვალიფიკაციისა - ფსიქოლოგიის მაგისტრი კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება (132 ადგილი)

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის ანკეტა-კითხვარი. შესასაბამისად, რადგანაც ფაკულტეტზე განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ ხორციელდება აღნიშნული პროგრამა, საჭიროა წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარის დამტკიცება.
საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

7. განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე საუნივერსიტეტო (სხვა ფაკულტეტზე აუთვისებელი) რესურსიდან შესაბამისად, 26 და 9 ადგილის დამატების საკითხი

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კვოტა განისაზღვრებოდა 20 და 10 სტუდენტით. წარმოდგენილ პროგრამებზე შიდაგამოცდის შედეგად ბარიერგადალახულ სტუდენტთა რაოდენობამ განათლების მეცნიერებების პროგრამის შემთხვევაში შეადგინა 46, ხოლო მასწ. განათლების შემთხვევაში - 19. შესაბამისად, განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ქეთევან ჭკუასელმა თხოვნით მიმართა შესაბამის უწყებებს, საუნივერსიტეტო, სხვა ფაკულტეტებზე აუთვისებელი კვოტებიდან წარმოდგენილ 2 სამაგისტრო პრაგრამას დაემატოს, შესაბამისად, 26 და 9 ადგილი.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

8. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე 1 ადგილის დამატება

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა მიმართა თხოვნით ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ცენტრალურ აპარატთან შუამდგომლობისათვის, რათა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღებ სტუდენტთა კვოტას დაემატოს 1 ადგილი. როგორც პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, საკონკურსო ბოლო ერთ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ორი 80-ქულიანი აპლიკანტი. შესაბამისად, სამართლიანობისა და თანასწორობისათვის უმჯობესი იქნება, უნივერსიტეტმა დამატებით კიდევ ერთი ადგილი გამოყოს წარმოდგენილი პროგრამისათვის.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს, მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

9. 1995 წლის კურსდამთავრებული მაია რუსიტაშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ თსუ–ის რექტორს განცხადებით მიმართა 1995 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მაია რუსიტაშვილმა, რომელიც ითხოვს მის სახელზე ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ მაია რუსიტაშვილი 1990 წელს ჩაირიცხა (ბრძ.№4/581, 11.08.1990) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

1995 წელს (ბრძ.№4/447, 12.07.1995 წ.) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 17 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - ზოგადი ფსიქოლოგია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია მაია რუსიტაშვილის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება მაია რუსიტაშვილის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და 2015 წლის დაუნომრავი ოქმები პირობითად დაინომროს შემდეგნაირად:

№1 მინიჭებული აქვს 16 ნოემბრის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს, შესაბამისად შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის 17 ივნისის ოქმს მიენიჭოს №2, 17 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს №3, 17 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს №4 ხოლო 17 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური სპეციალობის ოქმს -№5. აღნიშნულ ნომრებს წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ" (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა დასმულ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, ახალი არჩევითი კურსი - "პოზიტიური ფსიქოლოგია: თანამშრომელთა ბედნიერება", ავტორი - ი. კუტალაძე; ანა ტიკარაძე;

2. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია და კვლევა,ახალი არჩევითი კურსი -" პრაქტიკა, განათლების და მეცნიერების სამინისტროში", ავტორი - მ. წერეთელი;

3. დამტკიცდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსი -" სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია", ავტორი - მ.მელიქიშვილი;

3. შესწორდეს კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ტექნიკური ხარვეზი - კვლევით კომპონენტში დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება და დაცვა - უნდა იყოს 100 კრედიტი.
4. სამაგისტრო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია" ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად განისაზღვროს კვალიფიკაცია - კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი;
4. დამტკიცდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის ანკეტა-კითხვარი (132 ადგილი);
5. წარდგეს განსახილველად განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე საუნივერსიტეტო (სხვა ფაკულტეტზე აუთვისებელი) რესურსიდან შესაბამისად, 26 და 9 ადგილის დამატების საკითხი;
6. დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღებ სტუდენტთა კვოტაზე 1 ადგილის დამატების შესახებ.
7. 1995 წლის (ბრძ.№4/447, 12.07.1995 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები დაინომროს შემდეგი წესით: შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის 17 ივნისის ოქმს მიენიჭოს №2, 17 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს - №3, 17 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს -№4 ხოლო 17 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური სპეციალობის ოქმს - №5. აღნიშნულ ნომრებს წილადის შემდეგ დაემატოს ასო „პ" (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

8. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1995 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 17 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში მითითებულ კურსდამთავრებულთა, მათ შორის მაია რუსიტაშვილს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს №3/პ.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

/ /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი

/ /

12.09. 2016